ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3156865

ნომერი: AR1458335

თარიღი : 28.12.2016

გაცემის თარიღი : 20.03.2017

გაცნობის თარიღი : 21.03.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გალაქტიონის ძეგლის მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , სტუდქალაქის ტერიტორიაზე , სპორტული კომპლექსი "ფეხბურთი ბავშვებს" მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 37-სა , და სავაჭრო ობიექტებს შორის/ ქალაქი თბილისი , ი. ჭავჭავაძის გამზირზე, გალაქტიონ ტაბიძის ძეგლის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- თეიმურაზ ჭოხონელიძე პ/ნ 01007000662
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 55 კორ. 2 ბ. 16

ორგანიზაცია:
- სს აქსის თაუერსი კოდი: 405077704

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2016 წლის 28 დეკემბრის N AR1458335 განცხადება, რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით:#01.14.14.003.176 მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსების მიზნით ქალაქთმშენებლობითი პარამეტრის გაზრდას გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომაზე, სადაც მოთხოვნილი ქალაქთმშენებლობითი პარამეტრის დადგენას მიეცა დადებითი რეკომენდაცია. საკითხის სირთულიდან გამომდინარე უნდა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის პარამეტრის (კ2) მოსაკრებლის დაანგარიშების დასკვნა დამოწმებული შესაბამისი საექსპერტო უწყების მიერ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისთვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია. დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად თქვენ გეძლევათ გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 30 სამუშაო დღე. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2016 წლის 28 დეკემბრის N AR1458335 განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.